




საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია



საიას შეფასება
„მოქალაქეთა პოლიტიკური
გაერთიანებების შესახებ“
საქართველოს ორგანულ
კანონში ინიცირებულ
ცვლილებებთან დაკავშირებით



**საიას შეფასება „მოქალაქეთა
პოლიტიკური გაერთიანებების
შესახებ“ საქართველოს ორგანულ
კანონში ინიცირებულ ცვლილებებთან
დაკავშირებით**

თბილისი
2026

გამოცემის ხელმძღვანელები: თამარ ონიანი
თამარ ხუხია

ავტორი: ნიკოლოზ ოდიკაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

2026 წლის 29 იანვარს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები და მისი თანმდევი კანონპროექტები დააინიცირა.¹ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, მათ შორის, „**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ**“ ორგანულ კანონში არსებით ცვლილებებს ითვალისწინებს.² კანონპროექტი მოიცავს არაერთ ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ ცვლილებას, რომელთა შედეგადაც, **სახელმწიფო აუდიტის სამსახურს** ინდივიდებისა და გაერთიანებების საქმიანობის შინაარსობრივი და ფინანსური კონტროლის გაფართოებული უფლებამოსილებები ენიჭება. ამავ დროს, ცვლილებები გაუმართლებლად და დისკრიმინაციულად უკრძალავს მოქალაქეებს პოლიტიკური პარტიის წევრობას და უხეშად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით დაცული პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას.³

(1) „განცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე სუბიექტის“ დეფინიციის ბუნდოვანება და მისი მსუსხავი ეფექტი

ცვლილებების მიხედვით, ორგანულ კანონში გამოყენებული ტერმინი „**განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე**“ ჩანაცვლება ტერმინით „**განცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე**“.

ამ ცვლილებით, უკვე ფორმალურადაც,⁴ მნიშვნელოვნად ფართოვდება შესაბამისი საკანონმდებლო დეფინიცია. მოქმედი რედაქციის მიხედვით, განცხადებული საარჩევნო მიზანი სახეზეა მაშინ, როდესაც პირს აქვს არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი.⁵ ასეთი განცხადება უნდა გაკეთდეს საჯაროდ და მიმართული იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ.⁶ ამდენად, მოქმედ რედაქციაში გამოყენებული „საარჩევნო მიზანი“ შედარებით ვიწრო შინაარსის ცნებაა და უშუალოდ უკავშირდება არჩევნებში მონაწილეობას, მაშინ, როდესაც ახალი

¹ საკანონმდებლო პაკეტი იხილეთ:

<https://info.parliament.ge/#law-drafting/31737>, განახლებულია: 06.02.2026.

² გარდა ამისა, თანმდევი ცვლილებები შედის: „სისხლის სამართლის კოდექსში“, „ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონში.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23.

⁴ ანტიკორუფციული ბიურო არსებულ დეფინიციას ისედაც არაკეთილსინდისიერად ფართოდ განმარტავდა. უწყება სუბიექტებს „განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად“ აცხადებდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ საჯარო განცხადება არ ჰქონდათ გაუკეთებული.

⁵ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7¹ მუხლი.

⁶ იქვე.

რედაქცია უფრო ფართო და ბუნდოვან ფორმულირებას შეიცავს,⁷ რომლის თანახმად: „**განცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე პირად მიიჩნევა სუბიექტი, რომელიც არ არის რეგისტრირებული პოლიტიკურ პარტიად, თუმცა თავისი საქმიანობის შინაარსითა და საჯარო მოქმედებით, მათ შორის, მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მონაწილეობით, არსებითად ჰგავს პოლიტიკურ პარტიას**“.

აქედან გამომდინარე, თუ მოქმედი რედაქციით პოლიტიკური პარტიებისთვის დადგენილი გარკვეული შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც თავად აქვთ განცხადებული საარჩევნო მიზნები და მათ მისაღწევად შესაბამის ფინანსურ თუ სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებენ, ცვლილებების მიღების შემდეგ ეს შეზღუდვები გავრცელდება ახალი დეფინიციის ქვეშ მოქცეულ პირებზე.

„მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება“ იმდენად ფართო და განუსაზღვრელი ფორმულირებაა, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი სოციალური ან პროფესიული საკითხის ირგვლივ ორგანიზებულ საქმიანობას პოლიტიკურ აქტივობად აქცევს. პოლიტიკური ნება ფართო ცნებაა და ის არ შემოიფარგლება პარტიული პრეფერენციითა თუ კანდიდატის მხარდაჭერით. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ფაქტობრივად ყველა საჯარო პოლიტიკის სფერო (როგორიც არის: გადასახადები, ჯანდაცვა, განათლება, გარემოს დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა) მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ობიექტია. ადამიანის უფლებების სამართალშიც კი, იმპერატიული ნორმებისა (jus cogens) და კონსტიტუციურად პირდაპირ რეგულირებული საკითხების მიღმა, არაერთ ასპექტთან მიმართებით სახელმწიფოს აქვს თავისუფალი შეფასების ფარგლები.

მაგალითად, კონსტიტუციაში არ არის დეტალურად განსაზღვრული, რა სახის და მოცულობის ჯანდაცვის სერვისები უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ. შესაბამისად, როდესაც გარკვეული სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო დაფინანსება ჯერ არ არის მოწესრიგებული მოქმედი რეგულაციებით, ხოლო პაციენტები, მათი ოჯახის წევრები ან მხარდამჭერები მოითხოვენ პოლიტიკის შეცვლას და სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფას, ახალი დეფინიციის მიხედვით, არსებობს რეალური რისკი, რომ ეს ადამიანები მოექცნენ „განცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე სუბიექტის“ კატეგორიაში. ეს კი ნიშნავს, რომ ნორმა ქმნის გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი კონტროლის საფრთხეს, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება, შეაფასოს ინდივიდის ან ორგანიზაციის საქმიანობის შინაარსი, თუმცა ამისთვის არ არის მოცემული გარკვეული, ობიექტური და შეზღუდული კრიტერიუმები.

⁷ ნორმის განსაზღვრულობის პრინციპის მიხედვით, კანონი უნდა იყოს იმდენად ნათელი, რომ მოქალაქემ წინასწარ შეძლოს საკუთარი ქცევის შედეგების პროგნოზირება.

ეს ბუნდოვანება არ არის მხოლოდ თეორიული საფრთხე. ამის დასტურია ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედ ნორმას მიენიჭა საერთო სასამართლოების პრაქტიკით და რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2025 წლის 20 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.⁸ კონკრეტულად, ანტიკორუფციულმა ბიურომ და სასამართლომ „მედიის განვითარების ფონდი“ (MDF) „გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად“ მიიჩნია მხოლოდ იმის გამო, რომ ორგანიზაციამ სოციალური ქსელის მეშვეობით საჯაროდ გააკრიტიკა ხელისუფლება შემზღუდველი კანონმდებლობის ინიცირებისა და ჟურნალისტიკა უფლებების შელახვის გამო. საკანონმდებლო ინიციატივით შემოთავაზებული ტერმინოლოგიური ცვლილება არა მხოლოდ ვერ აღმოფხვრის სარჩელში მითითებულ ხარვეზებს, არამედ აუარესებს არსებულ რისკებს. თუკი მოქმედი რედაქცია სტატუსის მინიჭებას ფორმალურად მაინც უკავშირებდა „საარჩევნო“ კონტექსტს, ახალი ფორმულირება – „პარტიულ-პოლიტიკური მიზანი“ – კიდევ უფრო აფართოებს სივრცეს ნორმის თვითნებური განმარტებისთვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიენიჭება უფლებამოსილება, პოლიტიკურ პარტიებთან გაათანაბროს და მძიმე ფინანსური შეზღუდვები დაუწესოს ნებისმიერ აქტიურ ორგანიზაციასა თუ ფიზიკურ პირს, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი.⁹

ამასთანავე, ცვლილებების შედეგად, „პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე“ სუბიექტის მიერ აკრძალული შემოწირულების მიღება, აგრეთვე, დეკლარაციის წარუდგენლობა ან მასში არსებული ხარვეზების გამოუსწორებლობა **სისხლის სამართლის დანაშაულად განისაზღვრება.¹⁰**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილება პირისთვის „გაცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე სუბიექტის“ სტატუსის მინიჭების შესახებ ძალაში შედის დაუყოვნებლივ და მისი გასაჩივრება არ აჩერებს მოქმედებას.¹¹

⁸ ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სარჩელი N1904, 2025 წლის 20 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=18542>, განახლებულია: 17.02.2026.

⁹ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, პირველი მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/31743>, განახლებულია: 06.02.2026.

¹⁰ იქვე, მე-6 პუნქტი.

¹¹ იქვე.

(2) კონკრეტული ნიშნით, პირთათვის პოლიტიკური პარტიის წევრობის აპრძალვა

კანონპროექტით გათვალისწინებული მორიგი რეპრესიული ცვლილების მიხედვით, დაუშვებელია, პოლიტიკური პარტიის წევრი იყოს პირი, რომელმაც, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციასთან¹² დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, სრულად ან ნაწილობრივ მიიღო შემოსავალი. ასეთ პირს პოლიტიკური პარტიის წევრობა ეკრძალება იმ კალენდარული წლიდან 8 წლის განმავლობაში, როდესაც მან ბოლოს მიიღო შემოსავალი ამ ორგანიზაციისგან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეგულაცია, პრაქტიკული თვალსაზრისით, არა მხოლოდ პარტიულ საქმიანობას უკრძალავს ნორმის შინაარსში მოაზრებულ სუბიექტებს, არამედ მათ, ფაქტობრივად, ართმევს პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების საშუალებას. კონკრეტულად, საქართველოს პარლამენტის 150-ვე წევრი ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ანუ პარტიული სიით აირჩევა. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი საარჩევნო რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი არ არის ამ პარტიის წევრი.

საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის სრულწლოვანი მოქალაქეებისთვის პოლიტიკური პარტიის წევრობის შეზღუდვას აწესებს იმ პირებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ პროფესიებს, რომლებიც მოითხოვს მკაცრი პარტიულ-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვას¹³ და იმ დროით, როდესაც ისინი ამ პოზიციებზე მსახურობენ. ამდენად, კონსტიტუცია ნათლად ადგენს იმ ნიშანს, რომლითაც პირს შეიძლება შეეზღუდოს პარტიის წევრობა ამგვარი საქმიანობის განხორციელების პროცესში. უფრო

¹² კანონის პროექტის მიხედვით, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ მიიჩნევა ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და მისი კალენდარული წლის მთლიანი შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი უცხოური ძალიდან მომდინარეობს, გარდა ეროვნული სპორტული ფედერაციებისა და სისხლის დაწესებულებებისა. ანალოგიური კრიტერიუმი ვრცელდება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მაუწყებლებზე, აგრეთვე, იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად ფლობენ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას ან ფლობენ ან/და იყენებენ სახელმწიფო ენაზე ინფორმაციის გავრცელებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს, იმ პირობით, რომ მათ მიერ წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20 პროცენტზე მეტის წყარო უცხოური ძალაა. თავის მხრივ, „უცხოურ ძალად“ განიხილება უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი ნებისმიერი სუბიექტი: ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე; იურიდიული პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობით; აგრეთვე, ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია თუ კავშირი), რომელიც დაფუძნებულია უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

¹³ ძირითადი უფლებები, კომენტარი, ბესიკ ლოლაძე, ანა ფირცხალაშვილი, 2023 (1531).

კონკრეტულად, კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „პირს, რომელიც განწესდება მოსამართლედ, ან ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა“. სწორედ ამ უკანასკნელი კატეგორიის პირთა ჩამონათვალს აკონკრეტებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.¹⁴

შემოთავაზებული ცვლილებებით, საქართველოს ორგანულ კანონში უფლების შეზღუდვის ახალი კრიტერიუმი შემოდის, რომელიც კონსტიტუციით ექსპლიციტურად განსაზღვრულ წესს (23-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები) კონსტიტუციაზე იერარქიულად დაბლა მდგომი აქტით არსებითად აფართოებს. ამასთანავე, ნათელია ძირითადი კანონის შინაარსი, რომელიც გარკვეული კატეგორიის საჯარო მოხელეებს და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფ პირებს მხოლოდ მათი პროფესიული საქმიანობის ვადის განმავლობაში უწესებს შეზღუდვას. მაგალითად, მოსამართლე, რომელიც დაასრულებს სამოსამართლეო კარიერას, უფლებამოსილია, მყისიერად გახდეს პარტიის წევრი. კონსტიტუციური ლოგიკის საწინააღმდეგოდ შემოღებული ახალი კრიტერიუმით კი, მასში მოაზრებულ პირებს ეს შეზღუდვა სწორედ ე.წ. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციაში“ საქმიანობის დასრულების შემდეგაც უწესდებათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 11-ე მუხლი, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლი იცავს გაერთიანების თავისუფლებას, მათ შორის, ინდივიდის უფლებას, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვას, ეს დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას, მკაცრად განსაზღვრული პირობებით, რაც, მოცემულ შემთხვევაში, დაცული არ არის.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ინდივიდის გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს მოქალაქის ინდივიდუალურ ქცევას, კონკრეტულ საფრთხეს და არა პირის ლეგალურ პროფესიულ ან სოციალურ კავშირს. ამ პრინციპის მნიშვნელობა მკაფიოდ გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „ქობალია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ არჩევით თანამდებობაზე წვდომის, საჯარო სამსახურში საქმიანობის ან სწავლების შეზღუდვა არის კონვენციის დარღვევა, თუ იგი გა-

¹⁴ ა) საქართველოს პროკურატურის თანამშრომელი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა); ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე; გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი და სხვა.

მოიყენება პირის ინდივიდუალური ქცევის სათანადო შეფასების გარეშე.¹⁵ ამის საპირისპიროდ, წარმოდგენილი რეგულაცია ბლანკეტურია და ეფუძნება არსებითად დისკრიმინაციულ, კოლექტიური პასუხისმგებლობის ლოგიკას,¹⁶ რადგან იგი ავტომატურად აიგივებს უცხოური დაფინანსების მქონე ორგანიზაციასთან შრომით ურთიერთობას ეროვნული სუვერენიტეტისთვის დამაზიანებელ შედეგებთან.¹⁷

ხსენებული ცვლილება „ქართული ოცნების“ რეპრესიული პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ძალადობრივი კანონშემოქმედებითა და სხვა მექანიზმების გამოყენებით ზღუდავს სამოქალაქო აქტივობას და პოლიტიკური ოპოზიციის საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ოქტომბერში „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით განიხილა და მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის პარტიული საქმიანობის (მათ შორის, პარტიის დაარსება, პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება), სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის დაკავების, ასევე არჩევნებში მონაწილეობის უფლებათა აკრძალვას ითვალისწინებდა.¹⁸ ამავე თვის ბოლოს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა საკონსტიტუციო სასამართლოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აკრძალვის მოთხოვნით მიმართეს.¹⁹

ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება, განახორციელოს არა მხოლოდ პარტიის, არამედ მისი რიგითი წევრების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.²⁰ უწყებას უფლება ეძლევა, გამოითხოვოს ინფორმაცია ფიზიკური პირების ფინანსების, ასევე, „განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა“ და საიდუმლოების (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი მასალების შესახებ.

¹⁵ Kobaliya and Others v. Russia, § 115.

¹⁶ პასუხისმგებლობა არ გამომდინარეობს არც კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან, არც ინდივიდუალური ზრახვიდან. ის გამომდინარეობს კოლექტიური სტატუსიდან, რაც ორგანიზაციასთან შრომით ურთიერთობაში ყოფნაში გამოიხატება.

¹⁷ საქმეში *Ždanoka v. Latvia* (2006, Grand Chamber) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ კონკრეტული, იდენტიფიცირებადი ქმედებით და არა – „კოლექტიური ბრალეულობის“ ლოგიკით.

¹⁸ „ქართული ოცნების“ ინიციატივა ინდივიდების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/post/GYLA-politikuri-saqmiano-bis-akrdzalvis-shesaxe>, განახლებულია: 04.02.2026.

¹⁹ სარჩელით მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების – „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის, გვარამია, მეღია, გირჩი, დროა“ და „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ აკრძალვა.

²⁰ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, პირველი მუხლის მე-7 პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/31743>, განახლებულია: 06.02.2026.

ამასთანავე, პარტიის მიერ „ნებისმიერი უცხოური სახსრების“ მიღება გამოიწვევს ხელმძღვანელი **პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას**. აღსანიშნავია, რომ, მოქმედი რედაქციით, მსგავს დარღვევებზე მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული. ადმინისტრაციული ჯარიმებიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე გადასვლა აძლიერებს რეპრესიულ მექანიზმს. გარდა ამისა, ასეთი ფორმულირება შეიცავს პროვოკაციის საფრთხეს, რადგან მესამე პირის მიერ პარტიის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, შესაძლოა, ლიდერის დაპატიმრების საფუძველი გახდეს.

მოქმედი რედაქცია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები არ შეიძლება გამოყენებული იყოს გამოხატვის თავისუფლების, სამოქალაქო აქტივობისა და წინასაარჩევნო აგიტაციის წინააღმდეგ. ეს ჩანაწერი არის მნიშვნელოვანი გარანტია, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს უფლებამოსილებას და გამორიცხავს კანონით დადგენილი შეზღუდვების გავრცელებას პირთა სამოქალაქო ჩართულობაზე. საგანგაშოა, რომ ახალ რედაქციაში ტექსტიდან ამოღებულია სამოქალაქო აქტივობა, როგორც დაცვის ღირსი სიკეთე.

დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო აქტივობა განეკუთვნება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა არაინსტიტუციური მონაწილეობის ფორმას, რომელიც მოიცავს გამოხატვის, გაერთიანების, მშვიდობიანი შეკრებისა და საზოგადოებრივი კონტროლის უფლებას. სამოქალაქო აქტივობის, როგორც დაცული სიკეთის, სამართლებრივი აღიარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ გარემოში, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება კონცენტრირებულია და ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ინტერესების სრულფასოვან წარმომადგენლობას.

ამასთანავე, ასეთი ბუნდოვანი და მკაცრი რეგულაციები „მსუსხავი ეფექტის“ მქონეა არა მხოლოდ მათზე, ვისზეც კანონი პირდაპირ ვრცელდება, არამედ მთელ სამოქალაქო საზოგადოებაზე. ამგვარ ვითარებაში ადამიანები წინასწარ არიდებენ თავს აქტიურობას, რათა შემთხვევით არ მოხვდნენ „პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე პირის“ ბუნდოვან დეფინიციაში და არ დაექვემდებარონ რეპრესიულ სანქციებს.

შეჯამება

ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის რიტორიკითა და დასავლური სახელმწიფოებიდან ან სახელმწიფოთა გაერთიანებებიდან მომდინარე ჰიპოთეტურ საფრთხეებზე აპელირებით, მმართველი ძალა ეტაპობრივად აფართოებს საზოგადოების პოლიტიკური თავისუფლებების შეზღუდვისა და კონტროლის სამართლებრივ მექანიზმებს. ასეთი მიდგომა არ შემოიფარგლება კონკრეტული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მიერ რეალურად დადასტურებული რისკების პასუხად მიღებული ღრობითი ზომებით. **ფაქტობრივად, ყალიბდება დე ფაქტო პერმანენტული საგანგებო მდგომარეობის მსგავსი რეჟიმი, რომელიც ფორმალურად არ არის გამოცხადებული, თუმცა შინაარსობრივად სწორედ საგანგებო სამართლებრივი ლოგიკით ფუნქციონირებს.** ასეთ პირობებში მოქალაქეთა ფუნდამენტური თავისუფლებები (მათ შორის, მოქალაქის უფლება, ჰქონდეს და გამოხატოს მმართველი პარტიისგან განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული შეხედულებები) იზღუდება პრევენციულად, რეალური საფრთხის შეფასების გარეშე. შედეგად, მოქალაქეები სახელმწიფოსთვის იქცევიან არა უფლებების მატარებელ ავტონომიურ სუბიექტებად, არამედ ჰიპოთეტური მიზნების მიღწევის, უცხოური გავლენების შეკავების საშუალებად, რაც თავისუფლებათა ტოტალურ შეზღუდვას, პოლიტიკური პლურალიზმის ეროვნულ და დემოკრატიული წესრიგის დასუსტებას იწვევს.